№ 30, თბილისი, 1941 წ. კვირა, 28 ნოემბერი, გამოცემის წელი XVIII. გამოცემლობა „კომუნისტი“ ფასი 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6/XII 5 41 № 381

ნახ. ხ. ნადარეიშვილისა.

„გადამწყვეტი“ იერიში

ჰეგელსი — სმენა, მოქალაქენო! ახლა ჩვენი ფიურერი გაჩვენებთ უკანასკნელ და გადამწყვეტ იერიშის უზუსტეს რიცხვებს. მეტად მხიარული და მარგებელი სანახაობაა, ნახეთ და დაუჯერეთ.

ფინელი ფინიები

ფინეთის მესვეურნი ბერლინის მითითებით მოქმედებენ.
(„პრავდა“)

არის ერთი ქართული ანდაზა: კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, ჭკუას წაართმევსო. ცხადია ჩვენში ხვთის გაწყრომის არავის ეშინია, მაგრამ საკუთარი ჭკუის დაკარგვა, არც ასეთი სასიამოვნო მოვლენაა, რომ მის დამკარგველს თუ სინანული არა, სირცხვილი მაინც არ აგრძნობინოს.

— იფ! იფ! რა კარგია საბჭოთა ლენინგრადი, რა კარგია საბჭოთა მიწა-წყალი—ყრუტუნებდნენ გერმანელი ფაშისტები.

— იფ! იფ! რა კარგია ლენინგრადი, რა კარგია კარელიის ველები. ჩვენ უნდა დავიკავოთ იგი!—გაიმეორეს ბერლინელ მტაცებელთა ხმაზე ჰიტლერის ფინელმა ფინიებმა.

— ჩვენ უნდა თავს დავესხათ საბჭოთა კავშირს!—გადასწყვიტეს ბერლინელმა მტაცებლებმა.

— ჩვენც თქვენთანა ვართ. ჩვენც თავს დავესხმებით—გამოეხმაურნენ ფინელი ფინიები.

— ჩვენ თავდასხმას გვიპირობდა საბჭოთა კავშირი,—„განმარტეს“ 22 ივნისის ვერაგულად თავდასხმის გასამართლებლად გერმანელმა ფაშისტებმა.

— ჩვენც! ჩვენც!—იმეორებენ ფინელი ფინიები.

ზოგ შემთხვევაში ჭკუადაკარგულ ფინელი ფინიების უგნური მიმბაძველობა ყოველგვარ ანეკდოტის გმირობის მიმბაძველობას შორდება და ისინი ჭორებისა და ცილისმწამებლურ „აქტების“ შექმნაში ყოველგვარი ჰებელსის ფირმას აჭარბებენ.

— ხარ თუ არა თანახმა ხანკოს კუნძულამდე სატრანზიტო მოძრაობის დაწყებისა?—შეეკითხა საბჭოთა დიპლომატია.

— თანახმა ვარ. თანახმა ვარ.—იყო პასუხი და შეთანხმებაც გააფორმა.

— რატომ ამბობ, რომ შენ თანახმა იყავი? შეთანხმების საბუთს რა ფასი აქვს. თქვი რომ შენ თანახმა არა ყოფილხარ!—ურჩიეს ფინელ ფინიებს ბერლინელმა მტაცებლებმა.

— არ ვყოფილვარ!—არ ვყოფილვარ! თანახმა არ ვყოფილვარ!—გაიმეორეს ფინიებმა.

— პეტსამოში ჩვენი ელჩი უნდა დარჩეს! თანახმა ვართ, ხელსაც გიწერთ.—გაიმეორეს ფინელებმა.

— რატომ ამბობ რომ პეტსამოში და ალანდის კუნძულებზე საბჭოთა კავშირის საკონსულოების დატოვება შეთანხმებით მოხდა? რა გენაღვლება, იძახე რომ შეთანხმება ამ საკითხში არ მომხდარა—ურჩიეს საჭირო მომენტში ბერლინელმა მტაცებლებმა.

— არ მომხდარა! არ მომხდარა!—იმეორებენ ფინელი ფინიები.

— რას დაეძებ საჭირო საბუთის უქონლობას. იძახე რომ „პრავდა“ ფინელების ჟლეტას მოითხოვდა!—ურჩევენ ბერლინელი მტაცებლები.

— მოითხოვდა! მოითხოვდა! ფინელების ჟლეტას მოითხოვდა!

ჭეშმარიტად ფინელმა ფინიებმა საკუთარი ჭკუა დაჰკარგეს და გზადაბნეულებს არაფრის აღარ ერიდებათ. საკუთარი ჭკუის დაკარგვა და სხვისი კარნახის ხეპრული დაჯერება, რომ კაცს სასაცილო მდგომარეობაში აყენებს, ამას ამტკიცებს ერთი ანეკდოტი, რომელსაც ზოგიერთები მოლა მასრადინას შესახებ მოგვითხრობენ, ზოგნი კიდევ გერმანულ ხალხურ შემოქმედების ნიმუშად თვლიან. მოვიყვანოთ ამ ანეკდოტის გერმანული ვარიანტი:

ერთი კაცი ვირზე იჯდა და შინ მიდიოდა, მისი შვილი კი მას უკან მისდევდა ფეხით. მათ წინ მგზავრი შეხვდათ და მამას უთხრა:

— ეს უსამართლობაა! შენ ვირზე ზიხარ და შენი შვილი კი ფეხით მოგდევს. შენ ხომ უფრო ლონიერი ხარ, ვიდრე შენი შვილიო.

დაუჯერა მამამ. თვითონ ძირს ჩამოხტა და შვილი კი ვირზე შეაჯინა. გზაზე მეორე მგზავრი შეხვდა და შვილს უთხრა:

— ეს უსამართლობაა! შენ, ახალგაზრდა ჭაბუკი, რომელსაც მარდი ფეხები გაქვს, ვირზე ზიხარ და შენზე უფროსი — მამა კი ფეხით მოგდევს.

დაუჯერეს მეორე მგზავრსაც: მამა-შვილი ორივე ერთ გამხმარ სახედარზე მოთავსდა და გზა გააგრძელეს.

გაიარეს თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, მათ მესამე მგზავრი შემოხვდა და მამა-შვილს უთხრა:

— რა სულელურად ირჯებით. ორი კაცი ერთ პატარა გახრეკილ ვირზე შემჯდარხართ, როგორ არ გეცოდებათ?!

მასაც დაუჯერა მამა-შვილმა. ორივე ჩამოხტა სახედრიდან, ვირს გვერდში ამოუდგნენ სხვადასხვა მხრიდან და ასე გააგრძელეს გზა.

ცოტახნის შემდეგ მათ მეოთხე მგზავრი შემოხვდათ, რომელმაც მამაშვილს უთხრა:

— რატომ მიდიხართ სამივე ფეხით, როდესაც შეიძლება ერთ-ერთი თქვენგანი წაიყვანოთ?

მამა-შვილმა მასაც დაუჯერა: მამამ ვირს შეუკრა წინა ფეხები, შვილმა—უკანა ფეხები, შუაში დიდი სარი გაუყარეს, გაიდვეს მხარზე და ასე გააგრძელეს გზა.

როდესაც ამ თქმულებას ვიგონებ, უნებლიედ მაგონდება „სიბრძნენი ფინეთის ფინიებისანი“, ისინიც ყველაფერს უჯერიან ბერლინელ „ჭკუის დამრიგებლებს“, რადგან შურთ სახედრის პირობებში ჩავარდნილ წამხედური მგზავრების მდგომარეობა.

ს. ისარიძე

სწორი შედარება

ტყის პირად მტრის გამანადგურებლის ნამსხვრევები ეყარა. მოტორი ას მეტრზე ეგდო დამსხვრეულ ფიუზელაჟთან, რომლის ბაქანზედაც გამოხატული იყო საჰაერო ბანდიტის სახელობითი პირადი ნიშანი—გარეული ღორი.

ნახ. ს. ნადარეიშვილისა

გაზეთებიდან



წით. არმიელი (მეორეს)—ეგ რა დაუხატავთ იმ არამზადებს?
— ვერა ხედავ, „ფიურერია?“
— „ფიურერი“ კი არა, გარეული ღორია.
— დიახ, შენც მართალი ხარ და მეც.

გადამწყვეტი

ბევრჯერ მტერს დაუკვეხნია:
„ეს ერთხელ კიდევ შეტევა
და საბჭოეთში ნადავლი
აქ, ჩვენში არ დაეტევა!

ავიღებთ მოსკოვს, ლენინგრადს
და მივადგებით ურალსო,
შევძახებთ: ჰაილ ფიურერ!
რუსებს ვაძახებთ ურასო.

მაგრამ ძახილი „ეს ერთხელ“
და „გადამწყვეტი არისო“,
არ იქნა, აღარ გათავდა,—
მათ გული ბრაზით აივსო.

ჩვენ კი მტერს დღეს არ ვუნიშნავთ,
უკანასკნელს და გადამწყვეტს,
მას ვებრძვით მედგრად,—არ ვზურავთ
ბრძოლაში სისხლის არც ერთ წვეთს.

დღე გადამწყვეტი ბრძოლების
ისედაც მალე დადგება,
და დაპყრობილი მტრისაგან
ქვეყნები ისევ აღსდგება.

მაშინ იქნება ნამდვილი
ეს გადამწყვეტი შეტევა,
და სასიკვდილო მახვილი
მტერს გულში გადაემტვრევა.

განადგურდება ფაშიზმი,—
ურჩხული გაისრისება,
ბედნიერების სხივებით
ხამშობლო კვლავ აივსება.

სანდრო

მოლიპულ გზაზე

„ბრძოლები გრძელდება მთელ ფრონტზე, მაგრამ გერმანელებმა რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას ვერსად მიაღწიეს“.

ამხ. ლოზოვსკის განცხადებიდან.

ნახ. გ. ლომიძისა



— ჩვეულებრივად, მოლიპულ გზაზე მავალ ურემს დაგორება და დამსხვრევა ელის, როცა მას მუხრუჭი გაუტყდება. გერმანელ ფაშისტების იმპერიალისტურ ურემს უკვე გავუტეხეთ მუხრუჭი მოსკოვისაკენ მიმავალ გზაზე. იგი უკვე მიცურავს უფსკრულში გადასაჩეხად, მიუხედავად იმისა, რომ ნაცისტები დაუზოგავად უფენენ ხრეშს.

ჰებელსის ტურნე

გერმანიის პროპაგანდის სამინისტრო ცდილობს დაპყრობილ ქვეყნებში თავისი აგენტურის საშუალებით გააძლიეროს აგიტაცია და ამით შეანელოს აღმოსავლეთის ფრონტზე განცდილი მარცხით გამოწვეული შთაბეჭდილება.

გაზეთებიდან

აპალონა ჰებელსი ბერლინიდან ევროპის დაპყრობილ ქვეყნებში გაემგზავრა. „ფიურერის“ დავალებით, მას სარევიზიო დათვალიერება უნდა მოეწყო ნაცისტური სიცრუის ფაბრიკის ფილიალებისა.

„სიცრუის ფაბრიკა“ უწოდა ხალხმა ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს. თაღლითობისა და უტიფარი ტყუილების ამ უზარმაზარ ფაბრიკას თავისი განყოფილებები აქვს დაპყრობილ ქვეყნებში.

მუშაობენ ეს განყოფილებები გამოცდილი კომმივოიაჟორების ხელმძღვანელობით. კომი-ვოიაჟორი, ალბად მოგეხსენებათ რას ნიშნავს: ეს სხვისი საქონლის გამსაღებელ ნოქარს ეწოდება, რომელიც დადის, დაწანწალობს და გაიძვერულად აჩეჩებს ხალხს დაბალ საქონელს—დამპალ-დუმპალ ფართალს, მოძველებულ ძეხვებს და სხვა ასეთებს.

ჰებელსი, როგორც ვიცით, არ ასაღებს არც ძეხვებს, არც ფართალს, მაგრამ მას დიდი რაოდენობით მოეპოვება ისეთი „საქონელი“, რასაც პირდაპირი მომხმარებელი არ ჰყავს და რაც მოითხოვს ძალით გასაღებას. ეს გახლავთ:

სიცრუე, სიყალბე, ჭორი, თაღლითობა და სხვა, ამ შთამომავლობის ნაცისტური ნაწარმი.

როგორც ხედავთ, ასორტიმენტი არც თუ ისე ღარიბია, მაგრამ მაინც ახირებულია, რომ ხალხი, არ ეტანება აპალონას საქონელს. ამიტომ, სადაც კი ხელი მიუწვდება ბერლინის სიცრუის ფაბრიკას, კომივოიაჟორების საშუალებით ცდილობს მის გასაღებას. ვოიაჟორები მას უკვე ჰყავს, დაპყრობილ ევროპაში. მაგალითად:

საფრანგეთში—გამოცდილი გამყიდველი (ფრანგი ხალხისა) მარშალი პეტენი, ნორვეგიაში—ძველი ნოქარი კვისლინგი, რომელსაც, როგორც იტყვიან, ასეთ საქმეებში „ცხრა ძაღლი შეუჭამია“.

და ასე შემდეგ და სხვა ამგვარები.

ჰოდა, გაემგზავრა ჰებელსი იმის გამო, რომ როგორც მოგეხსენებათ, ბერლინის სიცრუის ფაბრიკის ნაწარმოები უკვე აღარ საღდება, მას მომხმარებელი არა ჰყავს. საკომერციო ასპარეზზე, საქონლის ასეთ ჩაწოლას ყოველთვის გაკოტრება მოსდევს. კოტრი კაცი კი მუდამ ცდილობს ისეთი პოზა დაიჭიროს, თითქოს ის კოტრი არ არის.

სწორედ ასეთი პოზით ეწვია აპოლონა თავის ფილიალებს. ეწვია და ანგარიში მოსთხოვა ვოიაჟორებს. საუბარი დაიწყო სიმბოლიური ტერმინებით:

— რატომ გაქვთ საქონლის ასეთი ჩაწოლა? — ეკითხება აპალონა.

— არ საღდება ჰერ ჰებელს, სულ არ საღდება.

— რატომ არ საღდება?

— ხალხი პირდაპირ გადაგვარდა ჰერ ჰებელს, არ უნდათ სიცრუე. მაშინ ჩვენ ვთავაზობთ თაღლითობას, არც ის უნდათ, ამის შემდეგ ჩვენ ვცდილობთ შევაჩეჩოთ ჭორი,—არც ეს უნდათ.

— მაშ, რახან ასეა,—ვეუბნებით ჩვენ,—დაანებეთ ყველაფერს თავი და ინებეთ უტიფრობა—ნამდვილი ბერლინის საქონელია, ჰებელსის ფირმისა. წარმოიდგინეთ, მაინც არ უნდათ. აკი მოგახსენეთ ჰერ ჰებელს, გადაგვარდა, ევროპის ხალხი მეთქი,—თქვენს საქონელზე უარს აცხადებს.

— კარგი, კმარა.—მკვახედ მოუჭრის ჰებელსი,— ვიცი, უკვე გამნელდა თქვენი მუშაობა. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ფსიქიურად. აი, რა ჩემო კარგებო, აუხსენით ხალხს, რომ ჩვენ გვიჭირს, რატომ გვიჭირს?—იმავე ხალხის სიკეთის გამო. ჩვენ გვინდა რომ გავაბედნიეროთ ისინი, როგორც გავაბედნიერეთ გერმანელი ხალხი, ფრანგი ხალხი, ბელგიელი ხალხი, ნორვეგიელი ხალხი და სხვა ასეთები, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ბევრს ეს არ უნდა. ყველაზე მეტად კი სლავიანები ჯიუტობენ.

არა, როგორ მოგწონთ ჩემო კარგებო? — ჩვენ გვინდა გავანთავისუფლოთ ისინი ქიმერისაგან, რომელსაც სინიდისი ეწოდება—არ უნდათ, ჩვენ გვინდა ბატონების კასტა შევქმნათ და მათ დავუმორჩილოთ სლავიანები—არ უნდათ, ჩვენ გვინდა, მათი მდიდარი მიწა-წყალი ჩვენს „საარსებო სივრცედ“ გადავაქციოთ—არ სურთ, დაბოლოს, ჩვენ გვინდა დავამარცხოთ ისინი—არ სურთ, ჯიუტობენ.

— აი, აი, აი!.. მლიქვნელურად გამოსთქვამენ მწუხარებას პეტენ-კვისლინგები და სხვა ამგვარები,—ეს ჩამორჩენილობის ბრალია ჰერ ჰებელს, ჩამორჩენილობის.

— მაშასადამე, ჩემო კარგებო, აუხსენით ყველას, რომ ამის გამო დიდი მსხვერპლის გაღება მოგველის, გასაჭირი, ესე იგი განსაცდელი. და განა განსაცდელის დროს ჩვენი ერთგული ხალხისაგან ერთგვარი თავაზიანობის გამოჩენა არ არის საჭირო?

— არის, როგორ არ არის, ჰერ ჰებელს!—უპასუხებენ ერთად პეტენი, კვისლინგი და სხვა ასეთები.

— მაშ უნდა იმოქმედოთ მათ გრძნობაზე.

— ვიმოქმედებთ ჰერ ჰებელს, როგორ არ ვიმოქმედებთ, მაგრამ რომ კიდევ არ დაგვიჯერონ მაშინ რა ვქნათ?

— მაშინ?—მიუგებს მათ აპალონა,—მაშინ არსებობს თავაზიანი ზემოქმედების მთელი რიგი ღონისძიებები, როგორც მაგალითად: სახრჩობელები, ტყვიამფრქვევები, დარბევა, ციხე და სხვა ამგვარი კულტურული საშუალებანი, გამოიყენეთ ისინი.

— გამოვიყენებთ, როგორ არ გამოვიყენებთ ჰერ ჰებელს,—კვლავ მიუგებენ პეტენ-კვისლინგები და სხვა ასეთები.

მაგრამ ამ დროს ქუჩებს შესძრავს გუგუნი. ჰებელსი ფანჯარას უახლოვდება და ხედავს ხალხის უზარმაზარ ტალღას, რომელიც მიემართება იმ შენობისაკენ, სადაც ბერლინის სიცრუის ფაბრიკის ფილიალებია მოთავსებული. ხალხი შეიარაღებულია ჯოხებით, ქვებით, წერაქვებით, რკინის ნატეხებით. მიდის, მიიწევს და ბობოქრობს ხალხი.

— ეს რა არის ჩემო კარგებო?—ეკითხება შეშინებული ჰებელსი.

— ეს.., ეს, ხალხია, ჰერ ჰებელს, ალბად... ალბად მოდიან, რომ გამოგიცხადონ თავიანთი სიყვარული. დიახ, დიახ, გამოგიცხადონ, ხმააკანკალებულნი მიუგებენ პეტენ-კვისლინგები და სხვა ასეთები.

— ძირს, ძირს!—ისმის გუგუნი ქუჩიდან.

— როგორ თუ „ძირსო“, რას ამბობენ?—ეკითხება ჰებელსი.

— ეს ალბად, სურთ რომ თავი ძირს დახარონ თქვენს წინაშე, მაგრამ გთხოვთ, მაინც თავს უშველოთ ჰერ ჰებელს, აი, იქ საპირფარეშოა, იქ შევაფაროთ, მერე კი როგორმე უჩინარ ვიქნებით...

ჰებელსი ხვდება, თუ რა „მხურვალე“ შეხვედრას უმართავს მას დაპყრობილი ქვეყნის ხალხი და გარბის საპირფარეშოსაკენ. მას უკან მისდევენ პეტენკვისლინგები და სხვა მისთანები.

გარეთ კი ისმის მრისხანე გუგუნი:

— ძირს ფაშისტი დამპყრობნი, ძირს ჰიტლერიზმი, ჩვენი აღფრთოვანება საბჭოთა ქვეყნის გმირ ხალხს!

ჰებელსი და მისი კომმი-ვოიაჟორები გარბიან.

ომახი მელგარიძე

ქალაქცუნა

მითოლაშილებმა ტყვეთ ჩაიგდეს ფაშისტი მფრინავი, რომელსაც ეცვა ქალის ბეჭედანი კოფთა ბერანგის ნაცვლად, ქალის სვეტერი და თხელი ტყავის ქუდოუკა.

გაზეთებიდან.

ნახ. ი. დიენოგორაცევასი

გერმანელი მფრინავის ფაშისტური მორთულობა.

აქა ამბავი მგელკაცების ცოცხლად დაჭერისა

...თოვის ზეგრეულ 20 მეტრის მოშორებით სოჩის შეკავი ამოლებული მიწა შეეამჩნიეთ... სოჩოში ორ გერმანელ ოფიცერს ეძინა. გავაღვიძეთ. ჩვენს დანახვაზე შეშრძოლება სცადეს, მაგრამ გვიანია იყო. ეს ბანდიტებს სოჩოში ნამარცვი ლეიტენანტი დეზორდეთ."

მეტყველ მ. ი. ეოჭოსაძის წერილიდან.

თენდებოდა... მზემ ღრუბლებში
თავალი მკრთალად გაახელა
ჯერ ნოიელი მზეკრავები
მოიკვლევენენ მტრისაკენ ფრთხილად.

ფეხაკრეფით მიდიოდნენ,
არ ეუნახა მიდელს ბოლი.
ფეხებ ბარეკნენ, მიშორებენ,
დაინახეს რაღაც სოჩო.

გაუკვირდათ, თქვეს—მივიდეთ,
რა სოჩოა, ფანაი ბარეს..
ნახეს: იწვა შიგ ჩვეულაკი,
დარჩენოდა ფეხი გარეგ.

ეფერა შიგნით კიდევ ჩვეულაკს—
ხსეა გერმანელს მოკრეს თავალ.
ღრმად ეძინა... ღამით ღიდანნ
ეფხრათ და ეფენენ მოერალ.

ქვეეთ ეგოთ ნაპურდალი
ათიოდე მატკალის ლეში.
ოფიცრები ოეენენ ჩინით,
მაგრამ სხე ჭმნდათ მალეენის.

მზნე მზეკრავების გაეცინათ,
თქვეს: — ამ მეცალს უნავმა ბეეჩი,
ბალეშილან და ბენაოეც
მოუნახავეთ შესაფერი.

წამოეყარეს, ფ რომ თვალი
ვერანად მოპკრეს ამაო ლეკვებს,
წამოპკეფეს ნაპურდალი
და შეაბეეეეს ბალეშილ.

— ამხანაგებო, ჩვენთვის ეოკეოლებენნა. ვის შეეძლია ენის "შოენა?—ოიმ
და თან სერიოზულად იკითხა ლეიტენან
— მე, ამხანაგო ლეიტენანტო!
— მე გამაგზავნეთ ამხანაგო ლეიტენან
ყოველი მხრიდან გაისმა მეგზრძოლთა
ლეიტენანტმა თვალი მიმოიალო
— ვიცი, ვიცი. მაგრამ არჩევანს მე
თონ მოვახდენ. ენას გვიშოენის ამხანაგი
ტორი. თვითონ მეგზელი ენა აქვს ფ
ხოთ, როგორს ამოვეს.
— არის ენის შოენა, ამხანაგო ლეიტ
ტო! — წამოდგა წინ ვექტორი,—
და ორიოდე წუთის შემდეგ ვიჭტორი
მის სიბნელეში გაეჩინარეოა.
მეორე დღეს, შუადღეზე ვიჭტორი
ბობდა თავის ამხანაგებს.
— დასწყვეტლის ეშმაკმა! გამეჩორეს
მე ამ ეკალ-ბარდებმა! სადაც გავიარე, ყ
გან გამეხლართა ფეხი შიგ. ისე ბნელ
რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი...
თიც ჭორნდა და ელექტრონის ფანა
მაგრამ ხომ ვერ ანთებ: კარგი სამაზნ
ვიქნებოდი... მივდიარ მიეხობავ, მივ
ცავ... ეს არ სრანს. ვიარე, ვიარე და
სოფელს მივდექი. ყორი დაეეედ—ძაღ
ყეფეენ არ ისმის. ეოტა ხნის შემდეგ ჩ
ცას წამოეფდეეი და ენილამ გაეიშლ
ხელი მოვალეე—დამაკი ლობეა. ჩემად
დაეედი. სიბნელეში სახლი გავიარნეთ. ეკ
თან ჩაეკეტეკრი და ველოდები. ილ
მოეარეეეეეა გამოანათა. კარგი. (ოტ
შემდეგ სახლიდან ბაკონი მომესმა. ვ
ამბავსა—სწორედ ჩემი სიმაღლისამ —
გაეაო და კიბეზე ჩამოდის. ფეხზე — ტ
დგას. ოფიცერს მონდირი აეკვია და მეო
და ხელიეეს. ჩამოვიდა თუ არა. ყილ
და როკეს დასაყვირებლად დაეაო პირ
ჩემი ბანაკგალილანი ხელთათმანები ჩაეკ

ROCA ჯერეოვანად

ადილით, ფიდოსთ, ლაშთ, ყოველეოვის ოფიცერ ფ
გერმანელი ჯარისკაცის „ბახსოვარიდან", რომელ
ბოალეთ ლეიტენანტ ზიგელს.

ნახ. გ. ლოზოეისა

— რა დაგმართიან, როგორ დაუბდღვნიხართ თქვე საცოდავებ

წარეცა. ეკაკეენ. ფეხზე ვერ დგება. ხელ
ბეეეეთ და ჩემად ვეუბნები:
ბავეეეარეზ, ზეკეენზეზეხ!..
— ზეკეენზეზეხ, ზეკეენზეზეხ!..
ეს რაკეეძალი ოქვე არ ჩაჯდა?!
ეკაკეენ და ვეეეეეეეეს:
— ეეეეეეეე

ნახ. ბორ. ეფიმოვისა

— ვიძლევით ამ თავს მოსაკვეთად, რომ ჰიტლერიზმი განადგურებული იქნება.

უზრუნველყოფილი ზეკაცი

ნახ. კ. ელისეევისა

— რამდენჯერ შეგვპირდა „ფიურერი“, რომ ის ისადილებდა ლონდონსა და მოსკოვში!.. ჩვენ კი, ნეტავი ერთხელ მაინც გვასადილა ბერლინში.

ისრები

„გერმანულმა გაზეთმა „ფრანგფურტერ ცაიტუნგმა“ განაცხადა: გერმანია ისე კარგად არის მომზადეული ხანგრძლივი ომისათვის, როგორც ელვისებურისათვისო“.

სრული სიმართლე წარმოსთქვა
არ არის პირში ფერება,
ფაშისტი ბრძენის ნათქვამი
სწორია დაიჯერება.

ხუთი თვის წინათ დაგვიწყო
„ელვისებური“ ომია,
ეგონა ჩვენი საზღვრები
შენელებული ღომია,

ელვისებურათ უნდოდა
მოსკოვის კრემლის აღება,
რომ სისხლისმწოვი აღები
კვლავ დაეჯინა აღებად.

ხუთი თვე გადის და მაინც
ვერ აისრულა წადილი,
ვერც ლენინგრადი აიღო,
ვერც კრემლში ჭამა სადილი.

და ისე კარგად აღმოჩნდა
ომისთვის მომზადებული
ელვისებურად „დათესა“
თვისი არმია „ქებული“.

ასეთი ხილი იგემეს
„ბლიცკრიგისათვის“ მზადებით, —
ხანგრძლივ ომისგან „უტკბილესს“
ელოდენ არამზადები.

ფ-ზა

„აინ-ცვაი-დრაი“

„გერმანელებს, ერთერთი ფსიქიუ
შეტევის დროს, წინ ორკესტრი მი
ღოდათ. საბჭოთა ყუმბარა პირდა
შუა ორკესტრში გასკდა იმ დრ
როდესაც მემუსიკეები მაღალ ნო
უკრავდნენ“.

გაზეთებიდან

— აინ, ცვაი, აინ, ცვაი,
გაისმოდა მთაში,
გრიალებდა გერმანელი
შეშლილების მარში.

მოდიოდნენ, განაგრძობდნენ
აინ, ცვაი, დრაი,
მაგრამ მალე მაღალ ნოტზე
დაიძახეს, ვაი.

აღარ სჩანდა მათი დაფი,
კლარნეტი და ალტი,
მიწამ ყლაპა ჯარისკაცნი
არყიანი კვარტით.

დარჩა ვინმე? მაშ დავთვალოთ:
„აინ, ცვაი, დრაი,
ზოგს ხელფეხი აღარ შერჩა,
ზოგიც ყვირის ვაის!

კ. გოგიაშვილი

„...გვარწმუნებენ, ჰიტლერი ნაპოლეონივით იქცევა და ყველაფერში ნაპოლეონს ჰგავსო. მაგრამ, ჯერ ერთი, არ უნდა დავივიწყოთ ამასთან ნაპოლეონის ბედი. მეორე კი, ჰიტლერი ისევ ჰგავს ნაპოლეონს, როგორც კატის კნუტი ლომს“.

ი. სტალინი

* * *

არაბეთის ერთ სოფელში
კატა გაჩნდა ხატაური,
მეტად წუწკი და მჩხავანა,
ყველაფერში უცნაური.

არ დაინდო გულმრისხანემ
ცხოველები შინაური:
დღეს რომ წიწილს იტაცებდა,
ხვალ მიჰყავდა ინდაური.

* * *

შეაშინა სხვა კატები,
და დააფრთხო ეზოს ძაღლი,
ზოგს უკბინა და ზოგს კლანჭით
დააჩინა ზურგზე ბაღი.

აქ მტრედები შემუსრა და
აქ ატირა მწყემსის ბალღი,
მის ნაკრძალად გადაიქცა
პოსტანი და ხილის ბაღი.

* * *

ხალხი შიშით შეპყრობილი
ეუბნება: შენ ხარ ლომი
და შეგშვენის ნადირთ მეფეს
ნადირობა მტერთან ომი,

ბატონობა, ნებივრობა
სარგებლობა სხვისი შრომით,
გმორჩილებედს არაბეთი,
სტამბოლი და დიდი რომი...

* * *

კატა უფრო გაზვიადდა,
სტოვებს ეზოს, მიდის ტყეში,
ფრინველთ მეფეს სურს შეებას,
რაა მისთვის ჯიხვი, ეშვი,

ის ხომ ნადირთ მეფე არის
ნაცადი და დანაგეში,
უნდა არწივს შეერკინოს
აღგზნებული ბრძოლის ეშხით.

* * *

და არწივის ჰპოვა ბუდე,
იქვე ჩუმად გაიშხლართა,
ამ დროს არწივს მართვეებზე
გადეშალა თავის კალთა,

და როს კატამ შეუტია,
ეკვეთა და შეემართა,
გაკვირვებით გადმოხედა
ნუთუ კატა ებრძვის მართლა.

* * *

როს არწივი შეფრთქიალდა,
ირგვლივ ქარმა დაუბერა,
ჰა გაშალა იალქნები
მტერს მახვილი დააძგერა,

გადისროლა და ნაპრალში
დააფრინდა მყისვე ძერა.
ეს ყოფილა გულზვიადი
და ბოროტი კატის წერა.

მიქელ პატარიძე

შემწვრის სუნი დგას...

„გერმანიაში საკვებთა „შემცვლელების“ ფართე გავრცელებასთან დაკავშირებით, გასაყიდათ გამოვიდა, ეგრეთწოდებული, საკვებთა სურნელები“. (გაზეთებიდან)

ეფრეიტორ ჰანს კურცენტაგს, აღმოსავლეთის ფრონტი

საყვარელო მეულლევ!

ვისწრაფვი გაგახარო კარგი ახალი ამბით. ჩვენში ეხლა, დიდება ფიურერს, გამოიგონეს საკვებთა სურნელები: კარაქის სურნელი, შემწვარი ქათმის სურნელი და წარმოიდგინე ნუშის ნამცხვარის სურნელიც. სურნელებს ყველგან თავისუფლად ჰყიდიან. ვერ წარმოიდგენ როგორ მოხარული ვიყავი როცა ეს წავიკითხე გაზეთებში. რა სიურპრიზი იქნება, ვფიქრობდი მე, ჩვენი მინნოჩქასათვის, როცა მის ბუტერბროტს—მარგარინის სუროგატწასმულ ხის ნახერხისაგან გამომცხვარ პურს—უცებ აღმოაჩნდება კარაქისა და ხორბლის პურის არომატი!

ამ ამბით გახარებულმა სტუმრებიც კი მოვიპატიჟე.

მაგრამ შენ ხომ იცი, როგორი უიღბლო ვარ. გავანებოთ თავი იმ შემთხვევას, რომ შენმა ბებერმა ბიძამ იოჰან ტაბელდოტმა, რომელიც შემოიჭრა ყველაზე ადრე, შემოაძრო ფანჯრებს საგოზავი და მიირთვა, ისე რომ ეხლა ფანჯრის მინები შეიძლება გამოვარდნენ ჩარჩოებიდან. მაგრამ მთავარი ეს არაა...

საქმე ასე იყო. იმის შემდეგ რაც მე გავყიდე შენ მიერ გამოგზავნილი სამხედრო ტროფეი—ფუშის ბანდაჟი, მე აღმომაჩნდა თავისუფალი ფულები, სახელდობრ 12 პფენინგი.

რადგან ქეიფია, ქეიფი იყოს—გავიფიქრე მე და ვიყიდე მაღაზიაში 5 პფენინგის მოხარშული კიბოს სურნელი, 5 პფენინგის ყველის სურნელი და დანარჩენი 2 პფენინგისაც—ნესვის სურნელი. რა ვახშამი ჰქვია თუ დესერტი არ იქნა!

მოსალოდნელი იყო, რომ ვახშამი იქნებოდა ჩინებული. განსაკუთრებით კარგი გამოვიდა კიბოები. მე ის გავაკეთე წითლადშეღებილ მუყაოსაგან და გავტენე ქაღალდების ნაფლეთებით. კიბოები ისე მოსჩანდნენ, რომ ცოცხალიაო ეგონებოდა კაცს.

ნესვი მცენარეთა ფოთლებისაგან შეაკოწიწა, შენმა ძმისწულმა, ფრონტიდან ახალდაბრუნებულმა ცალხელა პაულმა. ყველი მე თვით გავაკეთე საპნისა და რძიარძიას ბალახისაგან და რაც შეეხება შემწვარ თევზს, ის იყო, ასე ვთქვათ, გვირგვინი მთელი ვახშმის. შენ შეიძლება არ დაიჯერო, მე მოვახერხე მეშოვნა ნამდვილი თევზი. თევზი მე მომიძღვნა შენმა ძმისწულმა პაულმა, რომელმაც არ ვიცი რა—სასწაულით იშოვნა.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ დახე ჩემს უიღბლობას. როცა დავსხედით და ფიურერის საპატივცემოთ:—„ჰაილ!“ — შევძახეთ და გვინდოდა ჭამა დაგვეწყო, ამდროს შენმა ბებერმა ბიძამ იოჰანმა უცებ წამოიძახა: „რა უცნაური თევზია, დამპალი ყველის სუნი უდის!“

მე მაშინვე შიში ვიგრძენი, ხომ არ ავრიე სურნელები მეთქი. მართლაც ასე მომხდარიყო: ნესვს ჰქონდა მოხარშული კიბოს სუნი, კიბოებს—ნესვის, თევზს, ამ ნამდვილ თევზს ჰქონდა დამპალი ყველის მძაფრი სუნი, ყველს კი—საპნის!

ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, რომ მადიანად გხლეგოდით თევზს, მაგრამ გუნება მაინც გაგვიფუჭდა...

დიდ მადლობას გითვლი ფუშის ბანდაჟისათვის და ველი ახალ საჩუქრებს.

შენი კლარხენ.

* * *

ბერლინი, კლარა კურცენტაგს

ძვირფასო კლარხენ!

წავიკითხე შენი ბარათი, რომელშიაც ბევრს ლაპარაკობ სურნელებზე. ერთი რამ შემიძლია გითხრა: აქ ძალიან კეთილ სუნი დგას. ნურც საჩუქრებს ნურც მე მელოდები. საეჭვოა, რომ რუსების კონტრშემოტევების შემდეგ შენი ქმრისაგან რაიმე დარჩეს. შენი ჰანს კურცენტაგ.

ა. შამკოვიჩ

თბილისი

უფსკრულისაკენ მიაქანებს

ნახ. დონისა.

ჰა, ეს გიჟი, გერმანიას
რომ უსწრაფებს დასასრულსა,
უფსკრულისკენ მიაქანებს
დასაღუპად განწირულსა.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ჟორესის ქ. № 5.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 29/XI ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. გამომც. № 66 შეკვეთა № 1667. უე 42185. ტირაჟი 15.000.

ეროვნული ბიბლიოთეკა